შიდა ქართლის მასშტაბით ტურისტული ბანერები განთავსდა

22 ოქტომბერი 2019

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით რეგიონის მასშტაბით ტურისტულად აქტიურ და ხალხმრავალ ლოკაციებზე საინფორმაციო ბანერები განთავსდა. პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და კერძო სექტორის თანამშრომლობით განხორციელდა.

ბანერები განთავსებულია ლომჭაბუკის სკვერის, გორის ციხის, თბილისი-სენაკი-ლესელიძის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე მდებარე გუდვილისა და სმარტის სავაჭრო ცენტრების ტერიტორიაზე.

ბანერების განთავსება ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელი ტურისტების ინფორმირებას და შიდა ქართლის რეგიონში არსებული ძეგლების და ტურისტული ადგილების პოპულარიზაციას.